№ 66 8 თებერვალი, ოთხშაბათი 1866—1877 8 თებერვალი, ოთხშაბათი № 66

დროება

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, ბ ღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში. № 43

ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: მელიქიშვილის სტამბაში. ბანოვის ქუჩაზე.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲐ: მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: ოფიციალურ ადგილთ ასოზე—1 კაპ., ასო მთავრულიო სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცეცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲖᲔ“

რომელიც ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲛ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ გამოდის, შეიძლება მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე, ნ. ᲐᲛᲐᲢᲣᲜᲘᲡ სახლებში.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ ᲐᲛ 1 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲛ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ 1 ᲘᲐᲜᲕᲠᲐᲛᲓᲔ—5 ᲛᲐᲜ.

ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲔᲑᲘ „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐ“ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ:

ᲕᲐᲠᲗᲐᲜᲝᲕᲘᲡ წიგნის მაღაზიაში (ᲥᲣᲙᲘᲘᲡ ᲮᲘᲓᲖᲔ, ᲛᲘᲠᲝᲖᲝᲕᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲨᲘ)

ᲒᲠᲘᲓᲖᲣᲠᲝᲕᲘᲡ წიგნის მაღაზიაში (ᲥᲣᲙᲘᲘᲡ ᲮᲘᲓᲗᲐᲜ, ᲖᲣᲑᲐᲚᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ)

„ᲡᲣᲚᲗᲐᲜᲘᲡ“ თამბაქოს მაღაზიაში (სუდის ქვეშ).

„ᲥᲐᲠᲓᲐᲜᲐᲮᲘᲡ“ სარდაფში (სასახლის ქუჩაზე, ᲐᲠᲐᲠᲣᲜᲘᲡ ᲥᲠᲕᲐᲡᲚᲨᲘ)

ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝᲕᲘᲡ თამბაქოს მაღაზიაში (ᲑᲣᲚᲕᲐᲠᲖᲔ)

ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲝᲕᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ („ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ“ სასტ. ქვეშ, ᲛᲘᲠᲖᲝᲔᲕᲘᲡ სახლებში)

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

ᲒᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲜ

ᲝᲩᲣᲛᲘ, 6 ივნისს (სოხუმის მაზრ.). ᲐᲢᲠᲘᲐᲓᲨᲘ მშვიდობიანობაა. ᲑᲐᲕᲒᲖᲐᲕᲜᲔᲗ კავალერია, მაგრამ მტერი არსად შეხვედრია. მტრის გაქცევა მტკიცდება იმით, რომ ყოველ დღე იმათ მიტოვებულ მკვდრებს ვპოულობთ. ხმა არის, რომ 2 ივნისის შემდეგ ᲐᲑᲮᲐᲖᲔᲑᲨᲘ განხეთქილება მოხდაო.

ᲞᲚᲝᲔᲨᲢᲘ, 5 ივნისს. ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲔᲑᲘ ახალ სიმაგრეებს აშენებენ ნიკოპოლთან და ᲝᲚᲢᲔᲜᲘᲪᲗᲐᲜ. ᲩᲕᲔᲜᲡᲐ და იმათ ჯარს შუა აქ ხშირი სროლაა. ᲓᲣᲜᲐᲘᲡ წყალი თან-და-თან ᲩᲙᲚᲔᲑᲣᲚᲝᲑᲡ.

ᲞᲐᲠᲘᲟᲘ, 4 (16) ივნისს (შაბათს). ᲓᲦᲔᲡ გაიხსნა ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ სხდომა. ᲛᲐᲙ-ᲛᲐᲰᲝᲜᲛᲐ მიმართა სენატს წინადადებით, რომ ᲜᲐᲪᲘᲣᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲠᲔᲑᲐ დათხოვნილი იქმნეს. სენატი ამ წინადადებას 6-ს (ორშაბათს) განიხილავს

ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲡ ᲙᲠᲔᲑᲐᲨᲘ გაცხარებული ბაასი იყო მარცხენა მხრის დეპუტატების წინადადების გამო. შინაგანი საქმეების მინისტრი უარ-ᲰᲧᲝᲤᲓᲐ იმ აზრს, ვითომც 16 მაისის ᲛᲐᲙ-ᲛᲐᲰᲝᲜᲘᲡ მოქმედებამ ააღელვა ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ და ვითომც შეიძლებაო, რომ ამ გარემოებამ გარეშე ქვეყნებთან მშვიდობიანობა დაარღვიოსო. ᲑᲐᲛᲑᲔᲢᲢᲐ ᲰᲙᲘᲪᲮᲐᲕᲓᲐ ᲑᲝᲜᲐᲠᲢᲘᲔᲚᲔᲑᲡᲐ და სამინისტროს. ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ ამავე საგანზე იქნება კიდევ ბაასი პალატაში. ᲨᲔᲣᲛᲩᲜᲘᲚᲘᲐ, რომ პალატა ხმის უმეტესობით გაჰკიცხავს მმართებლობის მოქმედებას. ᲛᲔᲝᲠᲔᲡ მხრით ამბობენ, რომ სენატი თანხმობას გამოაცხადებსო, რომ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲠᲔᲑᲐ დათხოვნილი იქნესო.

ᲞᲐᲠᲘᲟᲘ, 6 (18) ივნისს (ორშაბათს). ᲑᲐᲪᲮᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ბაასი იყო სენატში, როცა მმართებლობის წინადადებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ დათხოვნის შესახებ. სენატმა არ დაამტკიცა ჯერ ᲛᲐᲙ-ᲛᲐᲰᲝᲜᲘᲡ წინადადება. ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲡ იქნება ამავე წინადადებაზე მოლაპარაკება.

ᲝᲛᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲕᲐᲠᲜᲘᲓᲐᲛ, რომელიც ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲨᲘ შესანიშნავ ციხე-სიმაგრეთ ითვლება, ერთი ნემეცური გაზეთის „ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲘᲡ“ კორრესპონდენტი შემდეგს ამბავს იწერება:

„ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ და ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ აფიცრები გვარწმუნებენ, ამ ჟამათ ᲕᲐᲠᲜᲘᲡ სიმაგრეები მეტი არ შეიძლება ისე არიან გამაგრებულნი და შემზადებულნი ყოველ გვარი სამხედრო იარაღებით, ჯარით და ამათის სურსათით. ᲐᲥᲔᲓᲐᲛ ᲩᲕᲔᲜ ფეხს არ მოვიცვლითო, მაგრამ, თუ შეგვეწია ᲦᲛერთი და მტერი მოგვადგა გავსცემთ საკადრისს პასუხს. ᲐᲑᲓᲣᲚᲐᲰᲔᲠᲘᲛ-ᲤᲐᲨᲐᲛ, ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲔᲡ ხელწიფის პატივისცემისათვის, ᲕᲐᲠᲜᲘᲡ ციხის კომენდანტათ ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲔᲡ დივიზიის გენერალი ᲠᲐᲨᲘᲓ-ᲤᲐᲨᲐ დანიშნა. ᲠᲐᲨᲘᲓ-ᲤᲐᲨᲐᲛ ჯეროვანი ყურადღება დაიმსახურა თავის გამარჯვებით ᲡᲔᲠᲑᲘᲐᲡა და ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ შუა ომის დროს და იმედი აქვსთ, რომ ეხლაც ამ ომის დროსაც ისახელებს თავს. ᲛᲘᲗᲥᲛᲘᲡ ყველა ფორტები ᲕᲐᲠᲜᲘᲡᲐ ხელ-ახლათ არიან გაშენებულნი და, ამათ გარდა, ხმელეთისკენ სამი ახალი სიმაგრეები გამართეს, რომ ამ მხრით მტერმა ვერაფერი დააკლოს ქალაქს. ᲠᲣᲡᲔᲑᲘᲡ შესაგებებლად ᲕᲐᲠᲜᲐᲨᲘ მზათ არის: 60 ᲥᲠᲣᲞᲞᲘᲡ ზარბაზანი და ამას გარდა 180 ციხის პატარა ზარბაზნები. ᲕᲐᲠᲜᲐᲨᲘ დაბანაკებული ჯარი შესდგება—14 ათასი კაცისგან, რომელთ შორის 12 ათასი ქვეითი ჯარია და 2 ათასიც ცხენოსანი. ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲡ ნაწილს ამათგანს ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲔᲓᲐᲛ მოსული, ძრიელ კარგათ გაწვრთნილი და შეიარაღებული ჯარი შეადგენს.“

—

ᲕᲔᲜᲘᲡ მეორე გაზეთს, რომელსაც რუსული გაზეთები ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ მიდგმას სწამებენ, ერთი კორრესპონდენტი, ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲡ სიახლოედამ, სწერს: „ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲨᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ძრიელ მძლავრი და დახელოვნებული პარტია ჰყავს, რომელიც, ვინიცის რა უმგზავსო და ტყუილ ამბებს ავრცელებს—ეხლანდელი ომის მსვლელობაზე. ᲐᲛ პირების წყალობით დაიყარა ის ხმა, რომ ვითომც ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ჯარს ᲧᲐᲠᲡᲨᲘ სურსათი აკლიაო, და ᲠᲣᲡᲔᲗᲛᲐ უკვე დაიჭირა ᲢᲐᲡᲛᲐᲜᲘᲡ ფორტი და სხვა სიმაგრეები. ᲐᲛ პარტიას უმეტესს ნაწილად ევროპიელები შეადგენენ.“

—

ᲑᲐᲰᲘᲠᲕᲔᲑᲐ ᲑᲔᲕᲠᲡ რასმეს აქნევინებს კაცს,—ეს ნამდვილია და ამის დასამტკიცებლათ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ მენავების შემდეგ მამაცობას მოვიყვანთ. ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ზღვის ნაპირა მდებიარე ქალაქები, მოგეხსენებათ, უმთავრესად ზღვაში გაყვანილი ნაღმებით (მინებით) არის დაცული, რომელნიც მტრის ᲯᲐᲕᲨᲜᲘᲐᲜ ხომალდებს ახლო არ უშვებენ. ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲘᲐ, რომ

ტალი მაინც მოაველოს მათ ხომალდებმა ძრო, რომ ისინი მაშინვე გასკდნენ და რა სიღრმეც უნდა იყოს დაამშვენებს და დალუპავს. ამისთანა ნაღმების წინააღმდეგ, ამას წინეთ ამბობდნენ ოსმალოებმა რაღაც საშუალება, წამალი მოიგონესო (ზობარტ-ფაშის შემწეობით), რომელიც, ხომალდის ძირზე მოცხებული, მიეკარებოდა თუ არა ნაღმებს, ესენი აღარ ვარდებოდნენ. ეხლა კი, ამ საშუალებაზე უფრო ადვილი, მაგრამ უფრო საშიში და სათავგანწირულო საშუალება მოუხერხებიათ ოსმალოს მენავეს (მატროსებს). სხვათა შორის აი რას სწერენ სტამბოლიდამ ამ საგანზე „ნემენცურს ზაზეთში“:

„ბირსოვიდამ, 8 ივნისს, აი რას გვატყობინებენ მაჩინის არხში მდგარ ოსმალოს სამხედრო ხომალდების ღალუპვიდამ დახსნაზე: პარახოდები „ქირლიაშალი“ და „ფეტხ-ბულ-ბულამი“ ბორსოვიდამ ოთხი საათის საავალზე იდგნენ წყალში და არ შეეძლოთ არც წინ და არც უკან წასვლა, რადგან გარშემო ნაღმები იყო წყალში ჩაგდებული. ამ გაჭირებიდამ დასახსნელად ათი ნავი გაეგზავნათ წყალში მძირავი მცურავებით, რომ სადაც იყო დაეძებნათ ნაღმები და გაეფუჭებიათ. მართლაც, რომ ამ მცურავებს რამდენიმე ნაღმი გაეფუჭებიათ და ამოეღოთ ზეკით ასე, რომ იმათ კვალზე მიჰყვენ შემდეგ ხომალდები და დანარჩენ ხომალდებს შეერთებოდნენ. აი ამისთანა მცურავების შემწეობით ნაღმების გაფუჭების საშუალებაზე ვამბობდით. ეს საშუალება ოსმალოს მმართებლობას იმედნათ სასარგებლოთ დაუნახავ, რომ ამისთანა მცურავების საზოგადოება შეუდგენია. მცურავს ყოველი ნაღმის გაფუჭებისათვის 225 ფრანკი და ნაღმის ნახევარი ფასი ეძლევა. თუმც ეს ძრიელ საშიში გამბედაობა არისო, მაგრამ ამბობენ, ჯერ ერთი მცურავიც არ მოუკლამს ნაღმსაო.

—

რუსულს გაზ. „ხმას“ ომის ველიდამ სწერენ: ყარსი ისე გამაგრებულია და იქ მდგარს გარნიზონს ისე სამყოფათ აქვს საზრდო, რომ იმის აღება ძრიელ გაჭირდება. შეუძლებელია იმედი ვიქონიოთ, რომ ყარსის აღება იერიშით მოხდეს.

—

ვენის გაზეთებში ეკითხულობთ, რომ მუხთარ-ფაშის უმთავრესი ბანაკი ამ ჟამად ქეპრი-კეეში იმყოფება, რომელიც არზრუმისაკენ მიმავალს სამხედრო გზაზე და ჰასსან-ქალედამ აღმოსავლეთით არის. ქეპრი-კეე კლდეზედა დაა გარშემო უტყეო მთები არტყია, რომელნიც არზრუმისაკენ სამზღვრავენ მას.

—

სულთანს მოსელია ეკვიპტეს ვიცე-კოროლისაგან ლორდ დერბის გამოცხადება სუეცის არხზე ხომალდების სიარულის თაობაზე. ვიცე-კოროლი ამბობს, რომ, თუ პორტას უნდა დაუშალოს რუსის ხომალდებს სუეცის არხზე სიარული, ამ განზრახვის შესასრულებელად უნდა გამოგზავნოთ სამხედრო ხომალდებიო.

—

სტამბოლიდამ იწერებიან, რომ იქაურმა პალატამ გადაწყვიტაო ამორჩევა კომმისიისა, რომელმანც ომიანობის საჭიროებისათვის, მმართებლობისაგან სესხის აღებაზედ უნდა მოილაპარაკოს.

პორტას ეს ორი დღეა კარგი ამბები მოსდის აზიის ბრძოლის ველიდამ.

—

იქიდამვე იწერებიან, რომ პორტამ მისცა ნება სუეცის არხზე თავისუფლათ სიარულისა ყველა სახელმწიფოს ხომალდებს, რუსის ხომალდებს გარდა.

—

ერთს ფრანცუზულ გაზეთში იწერებიან, რომ იმ ნოტას შემდეგ, რომელიც სეფეტ-ფაშამ გაუგზავნა ავსტრიას და რომელიც შეეხებოდა ხომალდების თავისუფლათ სიარულს დუნაიზე და ტიმოკზე, დიდი მეგობრობა ჩამოვარდაო ავსტრიასა და პორტას შუაო.

—

ერთს ნემეცურს გაზეთში იწერებიან არზრუმიდამ, რომ ოსმალოს ხომალდები დადიან აქა-იქ შავი ზღვის ნაპირებთან, აბხაზეთის მხრით, და ყურსაც არ ათხოვებენ იმას, რომ იქ რუსებს ტორპედები (ხომალდების საფეთქი წყლის ლაღუმები) აქვთ გაკეთებულიო.

„თქვენ უთუოთ გაგონილი გექნებათო, ამბობს ამ გაზეთის კორრესპონდეტი, რომ როცა კამპანიამ გაათავა ტორპედების კეთება, ლაზისტანიდამ მოდიოდნენ მცურავები, ძვრებოდნენ წყალში და ადვილად აფუჭებდნენ ტორპედებს ისე, რომ იმათ აღარაფრის ზიანის მოტანა აღარ შეეძლოთ. როგორც ეხლა სჩანს იმის გაფუჭებას ადვილად ახერხებდნენ, ეხლაც ხმარობენ ამავე ხელობას. ეს უფრო მდკიცდება იმით, რომ ოსმალები გადვიდნენ აბხაზეთის ნაპირებზე. მთელ აფხაზეთის ნაპირების დაყოლებლივ რუსებს ჰქონდათ ტორპედები და დაიმედებულნი იყვნენ, რომ ამ ნაპირებს ოსმალები ვერ მოუდგებიან; მაგრამ ამ იმედმა ფუჭათ ჩაუარა, და ოსმალების მცურავებმა ყველა მათი ტორპედები გააფუჭეს. აი როგორ აფუჭებენ ტორპედებს ლასისტანელი მცურავები: ორი კაცი ჩაჯდება მსუბუქს ნავში და მიცურდებიან ამ ადგილას, საცა ჰგონიათ, რომ ტორპედები არის. რადგან ნავი ლრმათ არ ზის წყალში, ამის გამოსახატავით იმათ სრულებით არ ეშინიათ, რომ ტორპედებს მოედვა-და-აფეთქოს. როგორც მოელენ ადგილას, ერთი მათგანი ჩავა წყალში, რომ მოძებნოს ის თოკი, რომელიც აერთებს ტორპედს ხომალდთან, გადასჭრის თოკს და გაფუჭებული ტორპედი ამოვა ზეკით; მერე დაბრუნდება თავის ნავში, აიღებენ ტორპედს, მიამბენ თოკით ნავს და გადიტანენ ზღვის ნაპირზე. მცურავებს თითო ტორპედის ამოღებისათვის ეძლევათ 225 ფრანკი (შვიდ თუმნამდინ)“

საქართველო

დღიური

*** ჩვენ მივიღეთ ბუთაისიდამ ამბავი რომ აჭარის მთებზე ხშირად გადმოდიან აჭარლები სოფ. ბაღდადის მახლობლად და რამდენიმე მწყემსი მოუკლავთ და იმათი პირუტყვი წაუყვანიათ. ამ ახლო ხანში მთის ძირს მდებარე სოფელს უხუთას დასცემია რამდენიმე აჭარელი, გადუწვავთ და გაუცარცვავთ.

*** დიდოელებისა და თუშების შეტაკების თაობაზე ჩვენ მივიღეთ სიღნაღიდამ შემდეგი ამბავი:

„ქახეთისაკენ ლეკები გადმოსულან, ჭიზიყის და თუშების ცხვარი ლეკის მთიდგან დაღესტანში გადაულალნიათ და მწყემსები დაუხოცნიათ. ამდგარი ლეკები დიდოელები არიან.

„ქახეთის სოფლებიდგან — ყვარლიდგან, საბუეთგან, შილდიდგან ხალხი ხიზნდება.

„სიღნაღიდგან ადგილობრივი კამანდა გაგზავნეს ყვარელში გზების დასაცველათ. თუსურმიშიდგან კიდენ ყაზახები წავიდნენ. ბრძანება მოვიდა, რომ კიდენ 130 კაცია საჭირო მილიციისთვისო და და 200 თუში. ქართული მილიცია საცხენისსა და ლაგოდაღს შუა იქნება დანაკებული; თუშები კი ყვარლის მხრისაკენ დადგებიან.

„ლეკთაგან დაცემისა აქ, სიღნაღშიაც, ეშინიანთ; ადგილობრივი მოქალაქობა ძრიელ მამაცათ დახვედრას აპირებს, იარაღი დაამზადა და გარეშემო სიღნაღის გზები ღამ-ღამით შეკრული აქვს. იმედობა და სიმამაცე იმოტლათ კიდენ ძრიელნი არიან სიღნაღელებში, რომ უსისხლოთ მტაცებელ მტერს თავის ქალაქში ფეხს არ შემოადგმევინებენ და გმირთა მამა-პაპათ სახელს არ წაახდენენ...“

*** თფილისის საადგილ-მამულო ბანკის ზამგეობასა და „თფილისის მოამბეს“ შუა პატარა შეტაკება მოხდა. საქმე იმაშია, რომ, ამ ბანკის დამტკიცებულის წესდები ძალით, ამ მაისში წილის-ყრა უნდა

მოამზდარიყო და ორში ერთ-ერთი დირექტორი ბანკისა უნდა გამოსულიყო და იმის ადგილი კანდიდატს დაეჭირა.

შარშან ზამგეობამ, ზედამხედველი კომიტეტის საშუალებით, შეიტანა საზოგადო კრებაში წინადადება, რომ ეს მუხლი წესდებისა შეიცვალოს, რომ დირექტორის წილის-ყრა პირველად სამის წლის შემდეგ იქმნეს და მერე ყოველ წელიწადს, თავმჯდომარე ბანკისა კი ხუთის წლის ვადით იყვეს ამორჩეული.

საზოგადო კრებამ ეს წინადადება მიიღო, შეცვლილი მუხლი, სხვებთან ერთად, გაგზავნილი იყო დასამტკიცებელად ფინანსთ მინისტრთან. ეს მუხლი ჯერაც არ არის მინისტრისაგან დამტკიცებული.

აი ამის თაობაზედ მოხდა შეტაკება „თფილ. მოამბესა“ და ხსენებულ ბანკს შუა. ბაზეთი ამტკიცებს, რომ, რადგან ის მუხლი არ დამტკიცდა ამ მაისის დამლევამდინ, ამის გამო რიგი იყოვო, რომ ისევ ძველის წესდების მოთხოვნილებით მოქცეულიყავით, მაისში წილი-გეყარათ და ერთ-ერთი დირექტორი გამოსულიყო ბანკის გამგეობიდამაო. ბანკის გამგეობა ამტკიცებს, რომ ეს საქმე ზედამხედველი კომიტეტის მოვალეობა იყოვო, ის არის კონტროლიორი ჩვენი მოქმედებისაო და სხვ.

ჩვენ გავიგონეთ, რომ ამ საგნის თაობაზე მოსალაპარაკებელად დღეს, სამშაბათს, ზედამხედველ კომიტეტს სხდომა აქვს და ენახავთ—რითი გადაწყდება საქმე.

*** ახალციხიდამ გვწერენ, რომ ნოტარიუსის უყოლობა დიდ დაბრკოლებას აძლევს აქაურ ხალხსაო. მომრიგებელ მოსამართლეს აქვს მინდობილი ნოტარიუსის მოვალეობაო, ეს ხშირად მოცლილი არ არის, თავის პირ-და-პირ მოვალეობის ასრულებას უნდებაო და ამის გამო სულ უბრალო საქმისთვის, ვსთქვათ ხუთი თუმნის ვექსილის დამტკიცება რომ უნდოდეს, სამი-ოთხი დღე უნდა დაჰკარგოს კაცმაო.

უცხო ქვეყნები

ინგლისი

ინგლისის საომრად შეიარაღებაზე დღეს აუგსბერღის „საზოგადო გაზეთში“ შემდეგს ეკითეულობთ: „რამდენიმე თვეა გენ. ლორდი ნეპირი მაგდალელი გიბრალტარში ლონდონიდამ ბრძანებას მოელის—თუ საით გაემგზავროს. ინჟინერი პოლკოვნიკი პორტერი ინგლისიდამ უარსში გაუგზავნიათ, რომ იქიდამ მოიწეროს თუ რა მიმართულებას მიიღებს ომი მცირე აზიაში. ამასთან ორს ესკადრას—ერთს ლამანშისას, რომელიც ბიბრალტარში სდგას ადმირალი სეიმურის წინამძღომლობის ქვეშ და მეორე ხმელთა-შუა ზღვისას ადმირალი ბოროთბით, თან-და-ოან ემატებათ მაღა და სამხედრო სურსათები. მაგ. ლამანშის ესკადრაში 5,000 კაცი ითვლება ე. ი. ორჯელ მეტი ვიმენც მშვიდობიანობის დროს. ხმელთა-შუა ზღვაშიაც 20 გემია; კიდევ 5,000 კაცი. ჩატამაში გემების გაცხარებული მზადებაა.

„დროების“ კორესპონდენცია

თელავი, 3 მაისს. მემგონია, შეტყობილი არ გექნებათ ამბავი, რომელიც მოხდა 1-ს თიბათვეს ჩვენს კახეთში, განსაკუთრებით ქ. თელავს და სხვა ალაზნის პირის ახლო სოფლებში:

დაგდეს ხმა (მართალი თუ ტყუილი არ ვიცი), რომ მთებში თუშებს და ლეკებს შეტაკება ჰქონიათ და თუშის მხარეს მომკედარა რამთვენი კაცი, რომ სამი თუ ოთხი ფარა მცხვარი წაუყვანიათ ლეკებს.

მეორეც ისა, რომ ლეკები დასცემიან ყადორის ციხეს და დაუნგრევიათ; იქიდამ აპირებენ ქვევით ჩამოსვლას და ახლო მთებთან მდებარე, ე. ი. სოფ. საბუის და ენისლის გაოხრებასო.

ამის შიშით თელავს ერთი მოქალაქე არა რჩება, რომ არ დაკეტოს დუქანი და არ გაემართოს ქალაქ გარეთ. ზოგნი კი შედიან ციხეში ცოლ-შვილით და იქ დგებიან. ახალგაზდა ხალხი დაიარალებული დადის შუა ქალაქში და არ იციან რა წამალი დაადონ ამ შემთხვევას. სოფლების მცხოვრებლები სულ დედიან-ბუდიანათ იკრიფებიან და ტყეში მიდიან.

ამ საგანზედ, როცა დაწერილებით გავიგებ, თუ სხვამ ჩემზე წინ არ შეგატყობინოთ, უფრო ერცლად მოვიწერები.

ზემო მხრელი

თავის გასამართლებელი

უფალო რედაქტორო!

თქვენის პატივცემულის „დროების“ ოც-და-მეჩვიდმეტე №-ში არის დაბეჭდილი მიხა სესიაშვილის მიერ გამოგზავნილი წერილი, რომლის შინაარსიც მდებს მე იმისთანა დანაშაულობას, რომლიდგანაც ვარ სრულებით განშორებული და უცხო სესიაშვილს მე ვერ ვხედავ ამაში დამნაშავეთ, ამისათვის რომ თითონ იმ შემთხვევაში არ დასწრებულა და ყოველივე მის-მიერ აღწერილი ეკუთვნის მისის მელორის ნაანბობს, და თუ მოიხსენებთ ნამდვილს გარემოებას, აი მოგახსენებთ:

18-ს მარტს მე დავინახე, რომ ჩემი მცირე წლოვანი შვილი მოსდევდა ერთს ფარა ღორს და ესეც შევნიშნე, რომ ამ ჩემს შვილს ტანისამოსი ჰქონდა დახეული და თვალები ცრემლიანი. მე იმ წამსვე მივეშურე იმისკენ და მინდოდა შემეტყო მიზეზი. რომ დაუახლოვდი, შევიტყე, რომ აღნიშნულს ღორის ფარას წაეხდინა ჩემი პურის მოსავალი და როდესაც ჩემს შვილს გამოერეკნა ღორი ჩემის სახლისაკენ დასატუსაღებლად, მაშინ მელორეს არ დაენებებინა და მ..სვლოდათ ძიძგილი და ამასობაში უკანასკნელს პირველისათვის დაეგლიჯნა ტანისამოსი და ერთი ჯოხიც შემოეკრა.

რადგანაც საზოგადოთ არის ჩვეულება, რომ წანახედის ნაფასურს ვერ მიიღებს ჭირნახულის პატრონი, თუ წამხდენელი პირუტყვი არ დაატუსაღა, და ანუ მწყემსს არ გამაართო რამე მის ნიშნათ ნივთი, ამი ათვის მე ტკბილის სიტყვით ვსთხოვე მელორეს, რომ მოეცა მას ჩემთვის ნიშნათ თავისი შინელი, და როდესაც მან ამაზედ უარი ჰყო და ძალით მოინდომა ღორების წაყვანა, მაშინ მე იძულებული ვიყავ მცირედს ხანს მომეკიდნა მისის შინლისათვის ხელი(!), ისიც მხოლოთ მაშინ, როდესაც მელორემ მომკიდა ხელი და აპირებდა რაღაც ცუდის განზრახვის აღსრულებას. თუმცა ჩემის მხრით ესეც უწესობა არის, მარამ მე ვცდილობდი იმას, რომ იმ ჩვენს ლაპარაკზედ მოსულიყო ვინმე და მოწმათ მაინც გამომდგომოდა შემდგომისათვის, როდესაც მე წანახედზედ შევიტანდი საჩივარს.

სესიაშვილი სხვათა შორის სწერს, ვითომც მე მესროლოს მელორისათვის ქვები; ეს იქიდგან გამოჰყავს, რომ, როდესაც მელორემ მოიხმარა ძალა და გაიქცა, მაშინ ჩემმა შვილმა მართლად ესროლა ერთხელ ქვა.

და რომ საქმის გარემოება ასე არ ყოფილა, როგორც აღუწერია სესიაშვილს, ეს მტკიცდება მელორის მიერ თელავის სუდში შეტანილის საჩივრით, რომელშიაც არც ქვის სროლას და არც ცემას(?) არ სჩივის და არც ყოფილა. ვინ არ დამეთანხმება ამაში, რომ მოჩივარმა უფრო კარგა იცის თავისი საქმის გარემოება, ვინემ სხვა პირმა, რომელიც არ დასწრებია საჩივრის შემთხვევას?

ჩემის თავის გასამართლებლად მე მოგართვით ამასთან შემოწმებული კოპია მელორის საჩივრისა და გთხოვთ დაჰბეჭდოთ ესეცა და თუ შეიძლება გარდასცეთ მისთვისვე „თფილ. მოამბეშიაც“, რადგანაც სტატია სესიაშვილისა იყო გარდათარგმნილი და დაბეჭდილი იმ გაზეთშიც.

ამასაც საჭიროთ ვხედავ დასამატებე-

ლათ, რომ ამ საგანზედ ექსარხოსის მოწერილობით ადგილობრივმა ბლალოჩინმა მოახდინა გაძოძიება და ვერც ერთი ბრალდებულება, აღწერილი „დროებაში,“ ვერ ჰპოვა მოწმების კითხვით და კიდეც მოახსენა რაპორტით ამ საგანზედ მისს ყოველად-უამღვდელოესობას.

ძღველი მიხაილ ჩიკვაიძე.

—

მოგვყავს აქვე სიტყვა-სიტყვაზე ნათარგმნი საჩივარი ივანე ჩიტაშვილისა, რომელსაც მ. მ. ჩიკვაიძემ მიაყენა შეურაცხყოფა:

მისს მაღალ კეთილშობილებას თელავის მომრიგებელ მ. სამართლს. ნაფარეულის მცხოვრების ივანე ჩიტაშვილის განცხადება.

18 ამ თვ ს, ნაფარეულის მცხოვრებმა მღვდელმა მიხაილ ჩიკვაიძემ მომაყენა მე შეურაცხყოფა სქმით, მაგინა სული და სარწმუნოება; თუმცა მე ბევრი ვეხვეწე, რომ თავი დაენებებინა ჩემთვის, მაგრამ ის არ დამაყოფილდა ამით, წამავლო ხელი ყელში და ყოველს უმიზეზოთ დამიწყო დალრჩობა.

ამ ამბავს დასტურნენ შემდეგი ნაფარეულის მცხოვრებნი (მოყვანილია ათი მოწმის სახელი).

მოგახსენებთ რა ამ უკანონო მოქმედებას მღვდლის მიხეილ ჩიკვაიძისას, უმორჩილესად გთხოვთ, დარწმუნდეთ, მოწმეების საშუალებით, ჩემგნით მოყვანილ გარემოებათა სინამდვილეში, და სამართალში აისცეთ მ. მ. ჩიკვაიძე და კანონიერი სასჯელი გადასახდევინოთ იმას.

ივანე ჩიტაშვილი. (რადგან ამან წერა არ იცოდა, იმის თხოვნით ხელს ვაწერ ბეგალოვი).

23 მარტს. 1877 წ. ქ. თელავი

რომ ეს პირი დედანთან ნამდვილია, ვამოწმებ ქ. თელავის მომრიგებელი მოსაართლე ულანგოზოვი. 3 მაისს, 1877 წ.

განცხადებანი

ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა, ქავკაზიის ცხენეების მოშენების საამზრო გამგებლობის წინადადებით, გამოიხმობს ამ მდგომარე თვის 11 რიცხვისათვის მსურველთ, რომელნიც იჯარით იკისრებენ დოლისათვის (скачка) საჭირო შენობის აგებას. ამშენებლებს მიეცემათ უფლება: ისარგებლონ იმ მიწით, რომელიც შენობებისა ბუნში (კრუგში) იქნება, გაკეთონ იქ ბუფეტი და აიღონ ფასი როგორც საზოგადოებისათვის დანიშნულის ადგილებებისა, აგრეთვე ცხენების დასაყენებლად.

ვაჭრობა მხოლოთ ერთხელ იქნება. უფრო დაწერილებული პირობების ნახვა შეიძლება ქალაქის გამგეობაში ყოველ დღე დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდინ. ვაჭრობა ქალაქის რჩევისაგან იქნება დამტკიცებული.

(3—1)

ქალაქის გამგეობისაგან

ქალაქის გამგეობა საყოველთაოთ აცხადებს, რომ თავის 9 მაისის სხდომაზედ გადაწყვიტა: **დასაფასებელი ხარჯის შემოტანისათვის** დაიდვას ვადა 1 თებერვალი და 1 აგვისტო და ამასთანავე ლგოტის 15 დღე; ვინც თავის დროზე არ შემოიტანს ამ ხსენებულს ხარჯს, გადახდება ჯარიმა 1% თვეში; ეს ჯარიმა ითვლება, დასაფარველი გადასახადის პირველ ნახევრის შემოუტანლობისათვის, 1 თებერვლიდამ და, ამავე გადასახადის მეორე ნახევრის შემოუტანლობისათვის, 1 აგვისტოდამ.

(3—1)

„კეკეთი“

სარძეო სარდაფს „კეკეთში“ ყოველ დღე ისყიდება: კარაქი, ნაღები, მეტანა, ტვიროგი, ყველი, უდუღარი და ადუღებული რძე და მაწონი.—

აქ ზაფხულს მსურველთ ქოჯორშიაც შეუძლიანთ მოითხოვონ ყველაფერი ის, რაც აქ, ქალაქის სარდაფში, ისყიდება, მხოლოდ საჭიროა, რომ დაჩიკებმა წინ და წინ გამოუცხადონ სარძეო სარდაფს თავის სურვილი, რომ დანიშნულ დროს სახლზე მიუვიდეს.

სარძეო სარდაფი „კეკეთი“ იმყოფება: სასახლის ქუჩაზე, მუზეუმის პირდაპირ, შაბუროვის სახლებში, სადაც უწინ ივანოვის ბიბლიოთეკა იყო.

ქავკასიის საბეგიო ინსტიტუტი

მშობიარე ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე; ფასი დღეში 50 კაპ., ღარ-ბები უფასოთ მიიღებიან.

ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მიღება ავათმყოფი ქალებისა და უმაწვილების.

ქალის ავათყოფობისათვის:

ყოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდამ 11-მდინ—დოქტორი ოლნანოვი.

ოთხშაბათობითა და შაბათობით 12 საათიდამ 1-მდინ—დოქტორი რემერტი.

სამშაბათობით და შაბათობით 11-დამ 12 მდინ—დოქტორი ალბანუსი.

საუმაწვილო ავათმყოფობისთვის:

ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12-მდინ და კვირაობით 10-დამ 11-მდი—დოქტორი შაშაშაბათობით 12 საათზე რჩევაა დოქტორებისა. რემერტის, ალბანუსის და ანანოვის

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქალებო ავათმყოფობას არჩენენ. ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავათმყოფთა უნდა აძლიონ დღეში—50 კაპ., ცალკე ოთახში კი დღეში—1 მანეთი.

რკ. გზა.	დილ.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა . .	10	11	6	27	-	68		38
გორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
უვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
უვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
გორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
გორს, დუშეთს, სიღნახს		50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსძალეთში, შეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში	3	50
ინგლისში.	3	75

ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გ რდ. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში		
და საამზღვარ გარეთ:		კაპ
ლია წიგნის		4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .		8

ბირჟა	მან.	კაპ
პეტერბურგი, 4 ივნისს		
ერთი მანეთი ლირს:		
ლონდონში $3^1/_2$ პენსი.	—	78
პარიჟში 268 სანტიმი.		81
ესკონტი (სარგებლიისფასი)	$7^1/_2$	
ბანკის ბილეთი 5%	95	—
მოგებიანი (პირველისსახი)	202	
მოგებიანი (მეორე ხესხი)	197	50
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. საზნ. ბანკისა.	—	—
ხერსონის ბანკის ($5^1/_2$)	83	—
მოსკოვის (5%). . . .	90	50
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	158	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	—	—
შავი ზღვის ცეცხ. გემების	465	—
ქავკაზის და მერკურის. .	203	—
პირვ. საზღვეგ. საზოგ	735	50
პეტერბ. საზღვეგ. საზ	235	50
მოსკოვის საზღვეგ. საზ	268	—

მაზანდა	მან	კაპ.
თფილი ი. 7 ივნისს		
ფქვ. თეთ ბანჯისა, ფუთ.	1	25
ფქვილი წითელი. . .	1	—
ქერი ფუთი. . . .	—	70
ბამბა ეროვნისა, ფუთი .	5	80
—ამერიკისა, ფუთი. .	8	—
ბაპინტილი ბამბა ფუ	7	70
მატყლი თუშური ფუ.	7	—
—თარაქამისა ფუ. .	3	60
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	50
ქონი, ფუთი. . .	5	20
ქონის სანთელი ფუთი.	6	—
სტეარინის სანთელი, ფ.	12	20
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	72
—ცხვრისა, ლიტრა. .	—	72
სპირტი, გრადუზი .	—	12
შაქარი, ბროც. ფუთი .	8	—
—ფხვნილი ფუთი .	8	20
ყავა გრგვალი, ფუთი	28	—
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	9	—
ოქრო $^1/_2$ იმპერიალი. .	7	75

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Іюня 1877 г. Типографія Меликова. გამოცემული ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.